თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ოქმი № 11

„24“ ივლისი 2020 წ. ქ. თელავი

თავმჯდომარეობდა : თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

არჩილი თხლაშიძე

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **გიგა ორკოდაშვილი,** საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ნანა ხვისტანი,** საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **დავით გოგოშვილი,** სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე **დავით ღაღანიძე,** საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე შათირიშვილი,** ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე **ლევან ლილუაშვილი,** ფრაქციის „ქართული ოცნება-მრეწველები“ თავმჯდომარე **ტიტე დარეჯანიშვილი,** საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მწვანეები“ თავმჯდომარე **გიორგი ჩაბრაშვილი,** ფრაქციის „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ თავმჯდომარე **არჩილი თვალიაშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ნათია ვაყელიშვილი;**
მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **გიორგი თავბერიძე;**
საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე.**
საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის მოწვეული სპეციალისტი **მედეა ჩაფურიშვილი.**

<u>დღის წესრიგი:</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს წარუდგინა მუნიციპალიტეტის მერიიდან საკრებულოს სხდომაზე განსახილველად შემოსული პროექტები, რომლებზეც განმარტებები გააკეთეს **ნ.ვაყელიშვილმა და გ.თავბერიძემ.**

აზრი გამოთქვეს: დ.ღაღანიძემ, ა.შათირიშვილმა, გ.ორკოდაშვილმა

ბიუროს წევრებმა გადაწყვიტეს მერიის მიერ შემოტანილი ყველა პროექტი შეტანილი იქნეს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

გ.ორკოდაშვილმა მორიგი სხდომის დღის წესრიგში შესატანად წარმოადგინა საკითხი: თელავის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე წარმატებული სპოტსმენებისა და სპორტული კლუბების წევრი, მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესების შესახებ, რადგან ამ საკითხის განხილვა უნდა მოხდეს 01 აგვისტომდე.

ნ.ხვისტანმა კი სხდომის დღის წესრიგში შესატანად წარმოადგინა საკითხები:

1. თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

2. საკრებულოს წევრის მიხეილ გრემელაშვილისათვის უფლებამოსილების შეჩერების შესახებ.

3. ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები"-ს თავმჯდომარის მაია მარკოზაშვილის შვებულების შესახებ.

<u>გადაწყვიტეს:</u> **მიმდინარე წლის 31 ივლისს 12.00 საათზე მოწვეულ იქნეს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:**

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო (საძოვარი) დანიშნულების მიწის ნაკვეთების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე უარის თქმის შესახებ.

   მომხს. გ.თავბერიძე
   12.00სთ-დან - 12.10 სთ-მდე
2. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შ.პ.ს „საქართველოს ფოსტისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

   მომხს. გ.თავბერიძე
   12.10სთ-დან -12.20 სთ-მდე
3. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.

   მომხს. გ.თავბერიძე
   12.20სთ-დან -12.30 სთ-მდე
4. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე თანხმობის შესახებ.

   მომხს. გ.თავბერიძე
   12.30სთ-დან -12.40 სთ-მდე

5. თელავის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე წარმატებული სპოტსმენებისა და სპორტული კლუბების წევრი, მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესების შესახებ.

მომხს. გ.ორკოდაშვილი

12.40სთ-დან -12.50 სთ-მდე

6. თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. ნ.ხვისტანი

12.50სთ-დან -12.55 სთ-მდე

7. საკრებულოს წევრის მიხეილ გრემელაშვილისათვის უფლებამოსილების შეჩერების შესახებ.

მომხს. ნ.ხვისტანი

12.55სთ-დან -13.00 სთ-მდე

8. ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები"-ს თავმჯდომარის მაია მარკოზაშვილის შვებულების შესახებ.

მომხს. ნ.ხვისტანი

13.00სთ-დან -13.05 სთ-მდე

საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე